ᲐᲕᲔᲠᲡᲘ AVERSI

შ.პ.ს "ᲐᲕᲔᲠᲡᲘ-ᲤᲐᲠᲛᲐ" ს/კ 211386695
0112, თბილისი, საქართველო,
დავით აღმაშენებლის გამზ. №148
ტელ.: (995 32) 2987860, 2997970
ფაქსი: (995 32) 2911906

"AVERSI-PHARMA" LLC I/N 211386695
148, David Agmashenebeli Ave., 0112,
Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 2987860, 2997970
Fax: (995 32) 2911906

E-Mail: info@aversi.ge
WEB: www.aversi.ge

№ 206/6 "29" 10 " 2019 Წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქ-ნ ეკატერინე ტიკარაძეს

და

სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური
იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის''
აღმასრულებელ დირექტორს
ბ-ნ შოთა გოგიჩაიშვილს

ქალბატონო ეკატერინე, ბატონო შოთა,

როგორც მოგეხსენებათ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №16-ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 58 175 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით 2012 წლის 08 თებერვლიდან წარმოადგენს შპს ,,ᲐᲕᲔᲠᲡᲘ-ᲤᲐᲠᲛᲐ''-ს (შემდგომში ,,ᲐᲕᲔᲠᲡᲘ-ᲤᲐᲠᲛᲐ") საკუთრებას.

ზემოაღნიშნული ფართის ნაწილზე 7167.00 კვ.მ–ზე შპს „ᲐᲕᲔᲠᲡᲘ–ᲤᲐᲠᲛᲐᲡ", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრს შორის 2018 წლის 12 თებერვალს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას 2018 წლის 31 დეკემბერს ამოეწურა ვადა. შესაბამისად, 2019 წლის 01 იანვრიდან სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკულ ცენტრს" არ გააჩნია შპს „ᲐᲕᲔᲠᲡᲘ–ᲤᲐᲠᲛᲐ"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებებით სარგებლობის კანონიერი საფუძველი. 2019 წლის 01 იანვრიდან სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრი" ფართში იმყოფება უკანონოდ. ამასთანა 2018 წლის 12 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით, სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკულმა ცენტრმა" იკისრა ვალდებულება, რომ არაუგვიანეს 2019 წლის 01 ივლისს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ დაცლიდა ფართებს და დაუბრუნებდა შპს „ᲐᲕᲔᲠᲡᲘ–ᲤᲐᲠᲛᲐᲡ", რაც დღემდე არ განხორციელებულა.

ვინაიდან სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრი" ზემოაღნიშნული 7167.00 კვ.მ ფართით 2019 წლის 01 იანვრის შემდეგ სარგებლობდა უკანონოდ, შპს „ᲐᲕᲔᲠᲡᲘ-ᲤᲐᲠᲛᲐ"-მ არაერთხელ მოგმართათ ფართის განთავისუფლების მოთხოვნით, ამასთან შემოგთავაზეთ პირობა, რომ თუ დაკავებული 7167.00 ფართიდან 2019 წლის 01

სექტემბრამდე გაათავისუფლებდით და დაგვიბრუნებდით მცირე ნაწილს, მაშინ თანახმა ვიქნებოდით დარჩენილ ნაწილზე გაგვეფორმებინა იჯარის ხელშეკრულება 2021 წლის 01 ივლისამდე.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან არ მიგვიღია პასუხი და არ მოჰყოლია რაიმე სახის რეაგირება.

გაცნობებთ, რომ შპს „ავერსი–ფარმა"–მ სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისგან მიიღო ნებართვა #01.10.15.022.056 საკადასტრო კოდზე მდებარე #01/2 შენობა-ნაგებობისა და #01.10.15.022.055 საკადასტრო კოდზე მდებარე #04/2 შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განხორციელებაზე, ხოლო #01.10.15.022.044 საკადასტრო კოდზე მდებარე #02/2 შენობა–ნაგებობაზე სახურავის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებაზე.

მოგმართავთ, ამ წერილის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში მოახდინოთ შპს „ავერსი–ფარმა"–ს საკუთრებაში არსებული, სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრი"–ს მიერ უკანონოდ დაკავებული, ზემოაღნიშნული შენობა–ნაგებობების დაცლა და შენობების მიმდებარედ განთავსებული მოძრავი ნივთების გატანა ტერიტორიიდან, რადგან შპს „ავერსი–ფარმა" 7 (შვიდი) კალენდარული დღის გასვლისთანავე დაიწყებს სადემონტაჟო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.

გაფრთხილებთ, რომ, იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ არ იქნება შესრულებული ამ წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები წერილის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ შპს „ავერსი–ფარმა" იხსნის სრულად პასუხისმგებლობას ზემოაღნიშნულ შენობა–ნაგებობებში და მათ მიმდებარედ განთავსებული მოძრავი ნივთების შესაძლო დაზიანების შემთხვევაში.

ვინაიდან 2019 წლის 01 იანვრიდან არც სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრის" მხრიდან და არც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრის" მიერ უკანონოდ დაკავებული 7167.00 კვ.მ ფართით სარგებლობისთვის საზღაურის გადახდა, მოგმართავთ, დაუყოვნებლივ მოახდინოთ ზემოაღნიშნული ფართებით სარგებლობისთვის თანხების ანაზღაურება, რაც 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდისთვის შეადგენს ჯამში 358350.00 (სამას ორმოცდათვრამეტი ათას სამას ორმოცდაათი) ლარს.

ამასთანა, სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრის" 2019 წლის 21 ოქტომბრის N 01-18/1029 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ შპს „ავერსი–ფარმას"–საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N 16–ში მდებარე ფართზე, სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრის" მიერ ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოებაზე. პირველ რიგში იმიტომ, რომ არ არსებობს სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრის" მიერ ფართით სარგებლობის რაიმე სამართლებრივი საფუძველი და ამასთან, ჩვენ მიერ, როგორც ზემოთ გეცნობათ, უნდა განხორციელდეს N 01.10.15.022.056 საკადასტრო კოდზე მდებარე #01/2 შენობა-ნაგებობისა და #01.10.15.022.055 საკადასტრო კოდზე მდებარე #04/2 შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, ხოლო #01.10.15.022.044 საკადასტრო კოდზე მდებარე #02/2 შენობა–ნაგებობაზე სახურავის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

იმ შემთხვევაში, თუ სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო–პრაქტიკული ცენტრის" მიერ განხორციელდება ზემოაღნიშნული შენობა–ნაგებობებისა და მათ მიმდებარედ არსებული ტერიტორიის განთავისუფლება, ასევე სრულად დაიფარება ფართით სარგებლობასთან დაკავშირებით ასანაზღაურებელი თანხა და გაფორმდება დარჩენილი ფართით

01/2 - 1,2 [illegible]

სარგებლობასთან დაკავშირებით ხელშეკრულება, მაშინ მზად ვართ განვიხილოთ თქვენი წინადადება N 01.10.15.022.046 საკადასტრო კოდზე მდებარე #03/2 შენობა-ნაგებობაზე და #01.10.15.022.055 საკადასტრო კოდზე მდებარე #01/2 შენობა-ნაგებობაზე შესაძლო სარემონტო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით
გენერალური დირექტორი:

ირ. ფურცელაძე